

საპროტესტო აქციების მონიტორინგის **შედეგები**



დემოკრატიის კვლევის ცენტრი

2025



Kingdom of the Netherlands



ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ცენტრმა (DRC) პროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის შესრულების მონიტორინგი“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

■ შესავალი	4
■ ძირითადი მიგნებები	6
■ მეთოდოლოგია	7
■ 1. შეკრებისა და გამოხატვის უფლების შემზღუდველი კანონმდებლობა.....	8
■ 2. აქციების გამომწვევი მიზეზები, დემონსტრანტთა და სამართალდამცავთა ქცევის შეფასება	13
2.1 სპეციალური ღონისძიებების გამოყენების კანონიერების საკითხი, საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.....	14
2.1.1 შეკრების დაშლის კანონიერი საფუძვლის არსებობა - შეკრების ძალადობრივი ხასიათი	15
2.2 მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული სპეციალური საშუალებები, დრო და ინტენსივობა	16
2.3 „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკა - უკანონო დაკავებები	20
2.3.1 დაკავების დროს გამოყენებული ტაქტიკა და ფიზიკური ანგარიშსწორება	22
2.4 ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევები	24
■ 3. სამართლიანი სასამართლოს უფლების შემზღუდვა	26

შესავალი

ბოლო ათეული წლის განმავლობაში პირველად, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში გამოყენებული რეპრესიული ღონისძიებები წამებად დაკვალიფიცირდა. დემონსტრაციების დარბევისას გამოყენებულმა სისტემურმა ძალადობამ, მისმა ორგანიზებულმა ხასიათმა, დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმემ და ლოკაციამ გააჩინა სარწმუნო ეჭვი, რომ პოლიცია ძალადობრივ მეთოდებს აქციების მონაწილეთა დასასჯელად და დასაშინებლად იყენებდა. წამების და არაადამიანური მოპყრობის თვალსაჩინო ნიშნების მიმართ, ძალადობის თვითმხილველი საპატრულო პოლიციის უმოქმედობამ, ფიზიკურ ანგარიშსწორებაში სამართალდამცავთა უშუალო მონაწილეობამ და სასამართლოს მიკერძოებულობამ თუ გულგრილობამ, წამება და არაადამიანური მოპყრობა ჩვეულებრივ დღის წესრიგად აქცია. ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარე პროტესტის დროს, ნათელი გახდა, რომ „ქართული ოცნების“ პირდაპირი ანგარიშსწორების მსხვერპლი ხდებოდნენ არა მხოლოდ, პოლიტიკოსები და სამოქალაქო აქტივისტები, არამედ ნებისმიერი ადამიანი, რადგან სასტიკი მოპყრობის მთავარ საფუძველს მათი აქციაზე ყოფნა წარმოადგენდა. ამ პერიოდშივე გამოიკვეთა განსაკუთრებული აგრესია მედიის წარმომადგენელთა მიმართ. „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად დამძიმდა ადამიანის უფლებების შემზღვევით კანონმდებლობის ინციფირებით/მიღებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით,¹ 2024 წლის 19 ნოემბრიდან - 1-ელ მარტამდე პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელ ხაზზე იმ 1084 პირის შესახებ შევიდა შეტყობინება, ვის მიმართაც ადმინისტრაციული სამართალწარმოება სხვადასხვა საფუძველით დაიწყო. ქსელის ადვოკატებმა მომსახურება გაუწიეს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ 486 პირს. 600 პირს კი შინაგან საქმეთა სამინისტრო 174¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ედავება, რაც, მათ შორის, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვას გულისხმობს.² საანგარიშო პერიოდში 50-მდე ადამიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. სისხლის სამართლის წესით დაკავებულების მიმართ ყველაზე ხშირ შემთხვევაში, სასამართლომ ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გამოიყენა, მოგვიანებით კი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ორ მათგანს პატიმრობა გირაოთი შეუცვალა.³ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა ასევე 8 პირს, რომელთაც 2 თებერვალს სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობას ედავებიან.⁴ მიუხედავად არაერთი მტკიცებულებისა, ამ დრომდე არც ერთი სამართალდამცავი არ არის კანონის შესაბამისად დასჯილი. ის არაფორმალური ძალადობრივი დაჯგუფების წევრები კი, რომლებიც ქუჩაში აქციის მონაწილეებს ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.⁵ დაკავებულთა უმეტესობა ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია. ისინი ადვოკატებთან საუბრის დროს იხსენებენ მათდამი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის უმძიმეს ფაქტებს.

¹ იხ. <https://www.facebook.com/share/p/16GS3vgRM4/>

² შენიშვნა: იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება, შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს, რადგან მონაცემები ასახავს მხოლოდ ქსელში შესულ რაოდენობას.

³ gyla.ge, 09.01.2025, იხ. <https://gyla.ge/post/aqciebis-konteqtshi-siskhlis-samartlis-wesit-dakavebulebi>

⁴ netgazeti.ge, 05.02.2025, იხ. <https://netgazeti.ge/news/762490/>

⁵ tvpirveli.ge, 23.12.2024, იხ. <https://shorturl.at/nmpqR>

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სათანადო ანგარიშვალდებულების პირობებში, ყურადღება უნდა მიექცეს ძალის გამოყენების მსხვერპლთა უფლებებსა და საჭიროებებს, მათ შორის, სამედიცინო დახმარების, საჩივრის შეტანის, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირების, მოწმეების დაკითხვის, იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებებს. იმ შემთხვევაში, თუ საპოლიციო ძალა უკანონოდ არის გამოყენებული, აუცილებელია კომპენსაცია, რეაბილიტაცია და მსგავსი უკანონო მოპყრობის არგამეორების გარანტია.⁶ საანგარიშო პერიოდში განვითარებული მოვლენები სრულად უგულებელყოფს ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებს.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2024 წლის 1-ელი სექტემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე დროის პერიოდში საპროტესტო აქციებზე დაკვირვების შედეგებს. ანგარიშში, ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, შეფასებულია როგორც დემონსტრანტთა, ისე სამართალდამცავთა ქცევა. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული: სპეციალური ღონისძიებების გამოყენების უკანონობაზე, გამოყენებული ფიზიკური ძალის არალეგიტიმურობაზე, მედიის წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ანგარიშსწორებაზე, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტალიზაციასა და დაუსჯელობის სინდრომზე, რომელიც ახალისებს ძალადობას.

აპრილსა და მაისში („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საპარლამენტო განხილვების დროს)⁷ ისედაც მძიმე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შემზღვევადი გარემო, ნოემბერ-დეკემბერში კიდევ უფრო დამძიმდა. საანგარიშო პერიოდში, აქციები ძირითადად ორი მიზეზით იყო გამოწვეული:

- 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დედაქალაქში აქციები კვლავ განახლდა. შეკრებილები აპროტესტებდნენ საპარლამენტო არჩევნების არასამართლიან გარემოში ჩატარებას, სადაც სრულიად უგულებელყოფილი იყო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საარჩევნო პრინციპები, მათ შორის, ამომრჩევლისთვის თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა და ხმის მიცემის ფარულობა. ამ დრომდე, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო დონეზე, ლეგიტიმაცია არ აქვს მოპოვებული.
- მასშტაბური და უწყვეტი საპროტესტო აქციები 28 ნოემბრიდან დაიწყო. ყოველდღიურ პროტესტს, რამაც დედაქალაქის გარდა, საქართველოს არაერთი ქალაქი მოიცვა, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება უძლოდა წინ - 2028 წლამდე შეჩერდეს ევროკავშირთან გაწევრების თაობაზე მოლაპარაკების გახსნა.⁸ ბოლო პერიოდის უწყვეტი პროტესტი საქართველოში არადემოკრატიული და ევროინტეგრაციის შემაფერხებელი პოლიტიკის პროტესტის გაგრძელებაა.

ანგარიშში მოცემულია ძირითადი მიგნებები, რომელიც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა.

⁶ Amnesty International, „Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials“, 2016, p. 27, k) იხ. <https://shorturl.at/L7sXz>

⁷ democracyresearch.org, საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ, 2024, იხ. <https://shorturl.at/G3WWH>

⁸ radiotavisupleba.ge, 28.11.2014, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html>

ძირითადი მიზნებები

- ბოლო ათეული წლის განმავლობაში პირველად, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში გამოყენებული რეპრესიული ღონისძიებები წამებად დაკვალიფიცირდა.
- დაკავებულთა უდიდესი უმრავლესობა არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი იყო.
- დაკავებულთა უმეტესობისთვის მიყენებული დაზიანებების ხასიათი (ძირითადად, დაშავებული სახე და ჩამტვრეული კბილები) მოწმობს, რომ დაზიანებები არ შეიძლება იყოს კანონიერი საპოლიციო ღონისძიებების შედეგი და წარმოადგენს პოლიტიკური ოპონენტების მიმართ აშკარა ანგარიშსწორებას.
- საანგარიშო პერიოდში უკიდურესად დამძიმდა შეკრებისა და გამოხატვის მომწესრიგებელი კანონმდებლობა.
- საანგარიშო პერიოდში საპროტესტო აქციებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წესი, დემონსტრანტები კანონის ფარგლებში მოქმედებენ.
- საანგარიშო პერიოდში გამართულ საპროტესტო აქციებზე არც ერთ შემთხვევაში დემონსტრანტთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობის იმ მასშტაბით დარღვევას, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგს გამოიწვევდა ან მთლიან შეკრებას ძალადობრივად აქცევდა.
- არც ერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცველებმა აქციის დასაშლელად ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს, არ არსებობდა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი.
- დემონსტრანტების ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლის დროს წყლის ჭავლში გარეული იყო ცრემლსადენი გაზი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2024 წელს 21 ოქტომბრის განცხადებით თავად დაადასტურა.
- საანგარიშო პერიოდში გამოყენებულ ორგანიზებულ ძალადობას არაფერი ჰქონდა საერთო კანონიერ საპოლიციო ღონისძიებებთან.
- საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების დროს, შსს-მ თითქმის არც ერთხელ არ დაიცვა აქციის დაშლის წინ, აქციის მონაწილეების კანონმდებლობის შესაბამისად წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება.
- საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჟურნალისტებზე პირდაპირი ანგარიშსწორების ტაქტიკა. ნოემბერ-დეკემბერში გამართული აქციების დროს ჟურნალისტებზე თავდასხმის, ფიზიკური ანგარიშსწორების, მათ წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენების 90-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.
- საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების დროს, დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, 1000-ზე მეტი პირის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო სისხლის სამართლის წესით 50-მდე პირი დააკავეს.
- საპროტესტო აქციებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლოზე მტკიცებულებების სტანდარტი კვლავ უკიდურესად დაბალია. სასამართლო უკიდურესად მიკერძოებული იყო, მისი გადაწყვეტილებები კი - შაბლონური.
- საანგარიშო პერიოდში თითქმის ყველა დაკავებულის მიმართ (რამდენიმე შემთხვევაში, დაკავებულები ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, ძირითადად ქალები და არასრულწლოვანები) გამოყენებული იყო გახანგრძლივებული ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა.

- თითქმის ყველა შემთხვევაში სასამართლომ დაკავებულები ადმინისტრაციულ სამართალ-დამრღვევებად ცნო და სახდელის სახით მაქსიმალური ოდენობით ჯარიმა ან პატიმრობა შეუფარდა. გარკვეულ შემთხვევებში, მოსამართლემ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა.
- საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის წესით დაკავებულ თითქმის ყველა პირს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის უმკაცრესი ზომა - პატიმრობა შეუფარდა
- 1-ელი მარტის მდგომარეობით, მიუხედავად არაერთი მტკიცებულებისა, არც ერთი სამართალდამცავი დასჯილი არ არის.
- „ქართულმა ოცნებამ“ გარდა საპოლიციო ძალებისა, მშვიდობიანი დემონსტრანტების დაშინებისა და ანგარიშსწორების მიზნით, არაფორმალური დაჯგუფებები გამოიყენა.
- საანგარიშო პერიოდში დამკვიდრდა უკანონო ჩხრეკის პრაქტიკა, რა დროსაც აქციაზე მიმავალ ადამიანებს ჩამოართვეს აირწინალები, ნიღბები და სხვა დამცავი საშუალებები, რაც, არ წარმოადგენს ისეთ ნივთს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან/და სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- სპეცრაზმელებმა დაკავებულებს ძვირადღირებული ტელეფონები, ყურსასმენები, დამტენ-ები, ქურთუკები და ფეხსაცმელები წაართვეს, რის გამოც ბევრი მათგანი სამედიცინო დაწესებულებაში ფეხშიშველი მიიყვანეს.

მეთოდოლოგია

ანგარიში ეყრდნობა დემოკრატიის კვლევის ცენტრის დამკვირვებლების მიერ 2024 წლის 1-ელი სექტემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს. ჯამში, დემოკრატიის კვლევის ცენტრის დამკვირვებლები 101 შეკრებას დააკვირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ამ აქციების დროს დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო ხდომების მონიტორინგს არ ახორციელებდა, აქციაზე დაკავებული პირების ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეფასებულია დაკავებულთა სასამართლო ხდომების მიმდინარეობა. უკანონოდ დაკავებულთა პირადი ისტორიებით დასტურდება დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, რაც ბოლო პერიოდის შეფასებით, წამებას უტოლდება. დოკუმენტში მოცემული და გაანალიზებულია სამართალდამცავთა ქცევა მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

კვლევის შეზღუდვა - თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებს დემოკრატიის კვლევის ცენტრის ორი დამკვირვებელი დააკვირდა. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციების გარდა, მუდმივად იმართებოდა საპროტესტო მსვლელობები, სხვადასხვა ლოკაციიდან. მსვლელობის დაწყებისა და დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაციას ორგანიზაციის დამკვირვებლები სოციალურ მედიაში გავრცელებული პოსტებიდან იღებდნენ. მონიტორინგის პროცესში შეზღუდვები განპირობებული იყო, ერთი მხრივ, დამკვირვებლების მცირე რაოდენობით, ხოლო, მეორე მხრივ, გოგრაფიული არეალით - დაკვირვება მოიცავდა მხოლოდ თბილისში ჩატარებულ პოლიტიკური შინაარსის აქციებსა და მსვლელობებს (საანგარიშო პერიოდში აქციები საქართველოს სხვა არაერთ ქალაქში იმართებოდა). ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე აქციების შემთხვევაში, პრიორიტეტს წარმოადგენდა ის დემონსტრაცია, სადაც უფრო მაღალი ალბათობა იყო

შეკრების თავისუფლების დარღვევის თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდში დიდი რაოდენობით აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს, ადგილზე მყოფ დამკვირვებლებს უზღუდებოდათ სრულფასოვანი დაკვირვების შესაძლებლობა - უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ შეკრების ადგილი. ასეთ შემთხვევაში, აქციის მიმდინარეობის/დაშლის სრულფასოვანი აღწერისა და ანალიზის ჩასატარებლად ხორციელდებოდა მედია მონიტორინგი.

კვლევითი ინსტრუმენტები - მონიტორინგის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზისთვის დემოკრატიის კვლევის ცენტრმა რამდენიმე გამოიყენა. ერთს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, პროექტის გუნდმა შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა შეიმუშავა, რომლის მეშვეობითაც საპროტესტო აქციებზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და დარღვევა აისახა.

მედიამონიტორინგი - განსაკუთრებით მასშტაბური აქციების დაშლის დროს, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო ადგილზე დაკვირვება და სრულფასოვანი სურათის ანალიზი, ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს სხვადასხვა მედიასაშუალებების ვიდეოჩანაწერები და პირდაპირი ჩართვები წარმოადგენდა.

სამაგილო კვლევა - შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის მასშტაბის განსასაზღვრად, ასევე, სამართალდამცავთა და დემონსტრანტთა ქცევის შესაფასებლად გაანალიზდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ნაწილში დადგენილი ევროპული სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. გამომდინარე იქიდან, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი - შინაგან საქმეთა სამინისტროს ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, დემოკრატიის კვლევის ცენტრმა ის უწყებიდან გამოითხოვა.

1. შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდველი კანონმდებლობა

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება.“⁹ ამავე კონვენციით, დაცულია შეკრების უფლება.⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე ხაზი გაუსვა შეკრების უფლების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ: „[ის] თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან იცავს ადამიანების უნარს გამოიყენონ ინდივიდუალური ავტონომია სხვებთან სოლიდარობით. სხვა მონათესავე უფლებებთან ერთად, ის ასევე წარმოადგენს მონაწილეობითი მმართველობის სისტემის საფუძველს, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობასა და პლურალიზმზე“.

⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10, 11, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოში 1984 წელს მიღებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.¹⁰ საბჭოთა კავშირის დროს მიღებული და დღემდე მოქმედი კოდექსი შეიცავს არასათანადო საპროცესო გარანტიებსა და ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულფასოვან რეალიზებას. **ამასთან, საქართველოში, ნოემბრიდან ინიცირებულმა და მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გააუარესა შეკრებისა და გამოსატვის უფლებრივი მდგომარეობა.** 3 მარტს ვენეციის კომისიამ დასკვნა გამოაქვეყნა,¹¹ სადაც კრიტიკულად არის შეფასებული შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების შემზღუდავი კანონმდებლობის მიღება. ანგარიშის მიხედვით, ცვლილებები შეიცავს ბუნდოვან დათქმებს, რაც ზრდის უფლების ბოროტად გამოყენების რისკებს. ამასთან, დაწესებული სანქციები ვერ აკმაყოფილებს პროპორციულობის და აუცილებლობის ტესტს.

წლების განმავლობაში, საპროტესტო აქციაზე დემონსტრანტებს შაბლონურად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე აკავებენ. 2021 წლიდან მკაცრდება სანქციები აღნიშნული მუხლების დარღვევის შემთხვევაში.

- თებერვალში შესული ცვლილებებით კი, წვრილმანი ხულიგნობისთვის დადგენილი სანქცია 1000 ლარიდან 3 000 ლარამდე გაიზარდა. პატიმრობის მაქსიმუმი ვადა 15 დღის ნაცვლად 20 დღე გახდა. ამ ქმედების (წვრილმანი ხულიგნობის) განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარიდან 5000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 60 დღემდე ვადით. ამასთან, შეიცვალა წვრილმანი ხულიგნობის განმარტება, რომლის მიხედვითაც განმარტება „საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ლანძღვა-გინება“ შეიცვალა ტერმინით „საჯარო სივრცეში ლანძღვა-გინებით“.
- სამართალდამცავის მოთხოვნის დაუმორჩილებლობა ან/და მისი შეურაცხყოფა ახალი რედაქციით ითვალისწინებს 2000-5000 ლარამდე ჯარიმას და 60 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას. განმეორებით ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებულია 3500-6000 ლარამდე ჯარიმა და 60 დღემდე პატიმრობა.

ცვლილებები შევიდა ვანდალიზმის ნაწილშიც. კერძოდ, განმეორებით სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობის 5 დღიანი ვადა 60 დღემდე გაიზარდა.

¹⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=565>

¹¹ ვენეციის კომისია, გადაუდებელი სამართლებრივი დასკვნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ, 03.03.2025, იხ. <https://shorturl.at/NBTNJ>

ძველი რელაქციით სამართალდარღვევიდან 4 თვის ვადაში შეიძლებოდა პირს დაჰკისრობოდა შესაბამისი სახდელი. ახალი ცვლილებებით კი ეს ვადები 6 თვემდე ვადით გაგრძელდა.

გარდა ამისა:

- *შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს აკრძალათ იქონიონ ლაზერული გამოსხივების ან/და მკვეთრი გამოსხივების შქონე საშუალებები. ასევე აკრძალა სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა. დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ამ დანაწესის მასობრივად დარღვევის შემთხვევაში, შეკრება ან მანიფესტაცია დაუყოვნებლივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნისთანავე უნდა შეწყდეს.*
- *ცვლილებების მიხედვით, შეიცვალა და კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა „ორგანიზატორის“ ცნება.*
- *გაჩნდა სპონტანური აქციის ცნება - „სპონტანური შეკრება/მანიფესტაცია“ არის შეკრება ან მანიფესტაცია, რომელიც დაუგეგმავად, დაუყოვნებლივ იმართება **მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის გამო** და რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.*
- *ამასთან, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება, თუ შეკრება/მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იმართება დაწესდა სპონტანური აქციის შემთხვევაშიც, რითაც სრულად უგულებელყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის გადაწყვეტილება.¹²*
- *იკრძალება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცესა და შენობაში, თუ არ არსებობს შესაკუთრის წერილობითი თანხმობა. აღნიშნულიც წარმოადგენს კიდევ ერთ დამატებით ბარიერს დემონსტრანტებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უწყვეტი პროტესტი მიმდინარეობს სხვადასხვა უნივერსიტეტში.*
- *ძველი რელაქციით აკრძალული იყო შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება. ცვლილებების მიხედვით, აკრძალულია ხიდების, გვირაბების, ესტაკადების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იმგვარი სატრანსპორტო კვანძების ბლოკირება, რომლის შეფერხებაც მნიშვნელოვან ზიანს მიყენებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და მნიშვნელოვნად შეაფერხებს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებას.¹³ აღნიშნული წარმოადგენს შეკრებისა და გამოხატვის უკიდურესად შეზღუდვას, რასაც არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრაქტიკას.¹⁴*

დეკემბერსა და თებერვალში „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგინდა უმკაცრესი სანქციები:

- *საპროტესტო აქციაზე სახის დაფარვის, პიროტექნიკის ნაწარმისა და ლაზერული გამოსხივების საშუალების ქონის შემთხვევაში განსაზღვრულია 2 000 ლარიანი ჯარიმა. ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში განსაზღვრული ჯარიმა 2000 ლარიდან 5000 ლარამდე მერყეობს. სანქციის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.*

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება, №3/3/1635, 14.12.2023, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6004741?publication=0>

¹³ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი“, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=22>

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, CASE OF KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA, იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-158200%22%5D%7D>

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაწესდა სანქცია, რომელიც ეხება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე საპროტესტო აქციის ჩატარებისას ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოს გაფრთხილების წესის დარღვევის შემთხვევას - განისაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ (რის მიხედვით ხელმძღვანელობს, ბუნდოვანია), გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. ამ ქმედების განმეორებით ჩადენა, გამოიწვევს დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 60 დღემდე.
- სანქცია დაწესდა სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობის შემთხვევაზეც, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 1 000 ლარით და დამატებით დაწესდა მართვის უფლების ერთი წლით ჩამორთმევა.
- ჯარიმის ოდენობა 50 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზარდა საპროტესტო წარწერების, პლაკატების უნებართვოდ განთავსებასა და ქალაქის იერსახის დამახინჯებისთვის.
- სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 60 დღემდე ვადით. ნორმა მხოლოდ 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებდა.
- საპროტესტო აქციის ჩატარება აკრძალულ ტერიტორიაზე, საპროტესტო აქციაზე აკრძალული ნივთების ქონა (გარდა სახის დაფარვისა და ლაზერული საშუალებისა), ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა იწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია - 15 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 20 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია – მის დაჯარიმებას 15 000 ლარიდან 20 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 60 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.
- 5 000 ლარიანი ჯარიმა და 60 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობაა გათვალისწინებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე შეწყვეტილ აქციაში მონაწილეობაზე.
- ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის 1-ელ ნაწილშიც, რომლის მიხედვითაც, პოლიციის დისკრეცია გაიზარდა და მას პრევენციული დაკავების უფლება ენიჭება. კანონის მიხედვით, თუ სამართალდამცავი ფიქრობს, რომ არსებობს მატალი ალბათობა, სამართალდარღვევა განმეორებით ჩაიდინოს იგივე პირმა, მას შეუძლია, პრევენციული მიზნით დააკავოს ის. არსებული ნორმით, პირს შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება პოლიციელის ვარაუდების საფუძველზე. ამავ საფუძველებით ნებადართული გახდა პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა პირის უკანონოდ დაკავება, ნათელი ხდება, რომ 48 საათი უკანონოდ ეზღუდება მას თავისუფლება, სამართალდამცავის ვარაუდით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.
ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, აუცილებელია არსებობდეს დაკავების კანონიერი საფუძველი. ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს მის

მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი.¹⁵ შესაბამისად, დაკავების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს პირის მიერ უკვე ჩადენილი სამართალდარღვევა. მანკიერი პრაქტიკის მიხედვით, არც ერთ შემთხვევაში, დაკავების დროს არ ხდება დაკავების საფუძველის განმარტება. მეტიც, მონიტორინგის დროს ნათელია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს დაკავების კანონიერი საფუძველი. მსგავსი ბუნდოვანი საკანონმდებლო ცვლილებებით, „ქართული ოცნება“ აკანონებს იმ მანკიერ პრაქტიკას, რაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დამკვიდრდა.

ისეთი კანონმდებლობის დაჩქარებული წესით მიღება, რომელიც ცალსახად აუარესებს ქვეყანაში შეკრებისა და გამოხატვის სივრცეს, კიდევ უფრო საგანგაშოა სამართლიანი სასამართლოს არარსებობის პირობებში.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სამართალდამცავებს საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს უნდა ჰქონდეთ სათანადო აღჭურვილობა, მათ შორის, ისინი იდენტიფიცირებული უნდა იყვნენ სახელებით ან/და შესაბამისი ნუმერაციით და სამხრე კამერით.¹⁶ ბუნებრივია, საპოლიციო ძალების მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით აღჭურვის მთავარი მიზანი მათი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების შემცირებაა - ასეთ დროს, მარტივად დგება შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. სხვა შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავს აქვს დაუსჯელობის მოლოდინი, უფლებამოსილების გადამეტების რისკი იმატებს. *ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოლიციელების კონფიდენციალურობის დაცვა შეიძლება იყოს უსაფრთხოების ლეგიტიმური საზრუნავი, თუმცა ეს არ უნდა აბრკოლებდეს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებას.*

საანგარიშო პერიოდში, აქციაზე მყოფი ყველა პატრულის თანამშრომელი ატარებდა ნიღაბს, რის გამოც, უკიდურესად გართულებული იყო მათი იდენტიფიცირება. ამასთან, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები არ ატარებდნენ არანაირ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს. მათი ეკიპირებიდან გამომდინარე კი, უკიდურესად გართულებულია, სავარაუდო სამართალდამრღვევის ვინაობის დადგენა. მიუხედავად იმისა, რომ სპეცრაზმის წარმომადგენლები კამერების წინ, ღიად ჩადიოდნენ ორგანიზებულ დანაშაულს, ამ დრომდე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არც ერთი სამართალდამცავი არ ჰყავს იდენტიფიცირებული და დასჯილი.

მთავრობის 2025 წლის 31 იანვრის დადგენილებით, სტრატეგიული ობიექტების ნუსხას დაემატა საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძეს მაგისტრალი.¹⁷

სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, რამაც შეაფერხა ამ დაწესებულების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ითვალისწინებს საპატიმრო სასჯელს.¹⁸ აღნიშნული ცვლილება მას შემდეგ განხორციელდა, რაც აქციის მონაწილეებმა 2 თებერვალს თბილისის შემოსასვლელი მთავარი გზის გადაკეტვა დააანონსეს.

¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=565>

¹⁶ Amnesty International, „Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials“, 2016, p. 27, იხ. <https://shorturl.at/L7sXz>

¹⁷ საქართველოს მთავრობის N28 დადგენილება, 31.01.2025, იხ. <https://shorturl.at/cwN5f>

¹⁸ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 222. იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=77#!>

2. აქციების გამომწვევი მიზეზები, დემონსტრანტთა და სამართალდამცავთა ქცევის შეფასება

საანგარიშო პერიოდში, 2024 წლის 1-ელი სექტემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე, დემოკრატიის კვლევის ცენტრის დამკვირვებლები 101 საპროტესტო აქციას დააკვირდნენ. საანგარიშო პერიოდში აქციები ძირითადად გამოწვეული იყო ორი საფუძვლით, თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს განსაკუთრებით 2024 წელს ქვეყანაში დამძიმებული უფლებრივი მდგომარეობის პროტესტის გაგრძელებას:

1. 2024 წლის 26 ოქტომბერს იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, მასობრივად დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული კენჭისყრის ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპები. ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ამომრჩეველთა მხრიდან ნების თავისუფალ გამოვლენას, რაც საარჩევნო უფლების რეალიზების ფუნდამენტია. წინასაარჩევნო პერიოდში არსებული გარემოსა და არჩევნების დღეს გამოყენებული გაყალბების სქემების, ასევე ამომრჩევლის ნებაზე უპრეცედენტო ზემოქმედებისა და ძალადობის ფაქტების ანალიზის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები არ ასახავდა საქართველოს მოქალაქეების ნებას. შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო.
2. მასობრივი, ყოველდღიური, უწყვეტი პროტესტის გამომწვევი მიზეზი 28 ნოემბერს, ირაკლი კობახიძის განცხადება იყო, რომლის მიხედვითაც, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, 2028 წლის ბოლომდე შეჩერდა ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხი. 28 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, აქციები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. მათ შორის, ერთი დღის განმავლობაში სხვადასხვა ადგილიდან რამდენიმე მსვლელობა მოეწყო, რომელთა საბოლოო წერტილი საქართველოს პარლამენტი იყო.

ოქტომბერში დაწყებული პროტესტის მთავარი მოთხოვნა ხელახალი არჩევნები იყო, რადგან დემონსტრანტები არ ცნობდნენ ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ არჩევნების შედეგებს. მოგვიანებით, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილების შემდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს, რეპრესიული პოლიტიკის გამწვავებისა და მასშტაბური დაკავებების შემდეგ, აქციის მეორე ძირითად მოთხოვნას, უკანონოდ დაკავებული პატიმრების გათავისუფლება წარმოადგენდა.

აქციებსა და მსვლელობებს კონკრეტულად ორგანიზატორი არ ჰყოლია. დღის მეორე ნახევარში საკანონმდებლო ორგანოსთან აქციის მონაწილეთა დიდი რაოდენობა ყოველგვარი ორგანიზების გარეშე იკრიბებოდა. თუმცა, დეკემბრის მეორე ნახევარში, სხვადასხვა მსვლელობას, სხვადასხვა ორგანიზატორი ჰყავდა. მაგალითად, პროტესტის 24-ე დღეს, მხოლოდ 21 დეკემბერს, თბილისში 20-ზე მეტი მარში გაიმართა.¹⁹ გარდა თბილისისა, უწყვეტი პროტესტი საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც მიმდინარეობდა. თუმცა, რესურსის სიმწირიდან გამომდინარე, ანგარიშში მხოლოდ თბილისში გამართული აქციების მონიტორინგის შედეგებია ასახული.

¹⁹ radiotavisupleba.ge, 21.12.2024, nb. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33248409.html>

დოკუმენტში გაანალიზებულია შემდეგი საკითხები:

- აქციის მონაწილეთა ქვევიდან გამომდინარე, ხომ არ იღებდა აქცია ძალადობრივ ხასიათს, რაც შესაძლოა ყოფილიყო აქციის დაშლის კანონიერი საფუძველი;
- ხომ არ იყენებდნენ აქციის მონაწილეები კანონით აკრძალულ საგნებს და სიძულვილის ენას;
- რამდენად შეესაბამებოდა სამართალდამცავების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების დრო, ინტენსივობა და ხარისხი ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს;
- იყო თუ არა დაცული საპროტესტო აქციის დაშლის წინასწარი გაფრთხილების სტანდარტი;
- ფიზიკური ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- მედიის წარმომადგენელთა საქმიანობაში ხელის შეშლის შემთხვევები;
- აქციის მონაწილეთა მიმართ დაწყებული რეპრესიები;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება.

2.1 სპეციალური ღონისძიებების გამოყენების კანონიერების საკითხი, საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში

ხელახალი არჩევნების, უკანონოდ დაკავებული პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნითა და ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესებისა და ევროინტეგრაციის პროცესების უკუსვლის ფონზე გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს, სამართალდამცავებმა არაერთხელ უკანონოდ გამოიყენეს მთელი რიგი აქტიური სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური ძალა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიზიკური ძალის გამოყენებით, 19, 28-29, 29-30 ნოემბერს, 30 ნოემბერს-1-ელ დეკემბერს ორჯერ, გამთენიისას და საღამოს საათებსა და 6-7 დეკემბერს სპეციალური საშუალებების გამოყენებით უკანონოდ დაშალეს მშვიდობიანი აქციის მონაწილეები.

სამართალდამცავთა ქვევა მკაცრად დარეგულირებულია, როგორც საერთაშორისო აქტებით, დოკუმენტებით, ისე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქვევის სახელმძღვანელო ინსტრუქციით (შემდგომში „მსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქცია“). *ინსტრუქცია განსაზღვრავს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს მოსამსახურეთა ქვევის ძირითად პრინციპებს. დოკუმენტი თავისი შინაარსით მეტ-ნაკლებად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ასევე საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს.*

გაეროს ძირითადი პრინციპების მიხედვით, *სამართალდამცავების მხრიდან ძალის გამოყენების დროს, აუცილებელია კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის პრინციპების დაცვა.*²⁰ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და კონკრეტული გარემოებისათვის საჭირო მინიმალური ოდენობით (პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპი).²¹ შინაგან საქმეთა სამინ-

²⁰ Amnesty International, „Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials“, 2016, p. 17-21. იხ. <https://shorturl.at/L7sXz>

²¹ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქვევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. მუხლი 4.4.

ინსტროს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, შეწყვეტას და დაშლას ექვემდებარება შეკრება/მანიფესტაცია, რომლის მონაწილენიც არღვევენ მისი ჩატარებისთვის კანონით დადგენილ წესს და არსებობს დაშლისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.²²

2.1.1 შეკრების დაშლის კანონიერი საფუძვლის არსებობა - შეკრების ძალადობრივი ხასიათი

ევროკონვენციის მე-11 მუხლით დადგენილი გარანტიები, რომლითაც დაცულია შეკრების თავისუფლება, იზღუდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრება იღებს ძალადობრივ ხასიათს ან/და მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ ორგანიზატორები ან/და მონაწილეები აპირებენ ძალადობის გამოყენებას ან ძალადობისკენ მოუწოდებენ შეკრებილებს.²³ პრევენციული სამართლის მიხედვით - ევროკონვენციის დაცვის გარანტიები არ მოიცავს დემონსტრაციას, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ ძალადობრივი განზრახვები.²⁴

დემოკრატიის კვლევის ცენტრის შეფასებით, არც ერთ შემთხვევაში (8 შემთხვევა), როდესაც სამართალდამცველებმა აქციის დასაშლელად/დასაკავებლად ფიზიკური ძალა ან/და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თითქმის ყველა შემთხვევაში, მშვიდობიანი აქციის დაშლის საფუძვლად, აქციის მონაწილეთა მცირე ნაწილის მიერ სამართალდამცავებისა და საკანონმდებლო ორგანოს მისამართით პიროტექნიკის გამოყენება დაასახელა. გარდა პიროტექნიკისა, 28 ნოემბრიდან ისინი აქტიურად იყენებდნენ ლაზერებს. უწყების შეფასებით, აქციის მცირე ჯგუფის სპორადული ხასიათი მთლიანად აქციას ძალადობრივად აქცევდა.

ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავთა ერთ-ერთი ვალდებულებაა განასხვავოს და გამოყოს მშვიდობიანი მონაწილეები შესაძლო სამართალდამრღვევი პირებისგან, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.²⁵ სამართალდამცავებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგის შესაძლო დამრღვევთა გამოცალკევება და ტერიტორიიდან გაყვანა, რათა მათი ქმედების გამო არ შეწყდეს/დაიშალოს მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.²⁶ გაწერილი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად მოქმედების ნაცვლად, სამართალდამცავებმა აქტიური სპეციალური საშუალებები და ფიზიკური ძალა ათიათასობით მშვიდობიან დემონსტრანტს დაუპირისპირეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვიწროდ განმარტავს ძალადობრივი აქციის დეფინიციას. საქმეში ნურეტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, სასამართლომ ძალადობრივად არ მიიჩნია ისეთი შეკრება, რომელიც თავდაპირველად თავისი არსით იყო მშვიდობიანი, თუმცა შეხლა-შემოხლა პოლიციის მიერ ძალის გამოყენებამ გამოიწვია.²⁷

²² იქვე. მუხლი 4.1.

²³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Kudrevičius and Others v. Lithuania, Application no. 37553/05, ECHR (2015), პარ. 92. იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%222001-158200%22%7D>

²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, CASE OF STANKOV AND THE UNITED MACEDONIAN ORGANISATION ILINDEN v. BULGARIA, (Applications nos. 29221/95 and 29225/95), პარ. 77, იხ. <https://shorturl.at/aNADs>

²⁵ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. მუხლი 4.2.ბ

²⁶ იქვე, მუხლი 4.2.გ)

²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Nurettin Aldemir and others v. Turkey, applications ##32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02, judgment of 18 December 2007, paras. 45-46 იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%222001-84054%22%7D>

საანგარიშო პერიოდში სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლები, გარდა სპეციალური საშუალებების გამოყენებისა, ფიზიკურად სასტიკად უსწორდებოდნენ აქციის მონაწილეებს. უმეტეს შემთხვევაში, მცირე ჯგუფის მიერ პიროტექნიკის გამოყენება, სწორედ სამართალდამცავთა მხრიდან ორგანიზებული დანაშაულის საპასუხო რეაქციას წარმოადგენდა.

- პირველად საპოლიციო ძალებმა აქციის მშვიდობიანი მონაწილეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, 19 ნოემბერს ფიზიკური ძალის გამოყენებით დაშალეს. მიმდებარე ტერიტორია პროტესტის მონაწილეების მიერ 17 ნოემბრიდან იყო გადაკეტილი. ისინი 26 ოქტომბერს კონსტიტუციური პრინციპების დარღვევით ჩატარებულ არჩევნებს აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეებს ადგილზე კარვები ჰქონდათ გაშლილი. შსს-მ შეკრებილების დაშლის საფუძვლად, გზის ხელოვნურად გადაკეტვა დაასახელა.²⁸
- 19 ნოემბრის შემდეგ, სამართალდამცავებმა ფიზიკური ძალა და აქტიური სპეციალური საშუალებები 28-29 ნოემბრის აქციაზე გამოიყენეს. ათიათასობით მშვიდობიანი აქციის ძალის გამოყენებით დაშლას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტთან პოლიციასა და დემონსტრანტთა მცირე ჯგუფს შორის პერიოდული დაპირისპირება. სამართალდამცავებმა საკმარისად მიიჩნიეს აღნიშნული, მრავალათასიანი პროტესტის ძალადობრივად დასაშლელად.²⁹
- 29-30 ნოემბერს, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფის მიერ პირველად მოხდა პიროტექნიკის გამოყენება. მიუხედავად ამისა, აქციას არც ერთ ეტაპზე არ მიუღია ძალადობრივი ხასიათი. ამ შემთხვევაშიც, სამართალდამცავებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით დაშალეს საპროტესტო აქცია.³⁰ შსს-მ მშვიდობიანი აქცია ანალოგიური საფუძვლითა და მეთოდებით დაშალა 1-ელ დეკემბერს გამთენიისას და საღამოს საათებში, ასევე - 6 და 7 დეკემბერს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ფაქტების ანალიზის შედეგად, ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ არსებობდა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი.

2.2 მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული სპეციალური საშუალებები, დრო და ინტენსივობა

სამართალდამცავებმა ნოემბერსა და დეკემბერში მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ არაერთხელ გამოიყენეს სპეციალური ღონისძიებები, რაც გულისხმობს *შეკრების/მანიფესტაციის დასაშლელად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობას*.³¹ თავის მხრივ, სამართალდამცავებმა მხოლოდ კანონიერებისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვით უნდა გამოიყენონ სპეციალური საშუალებები, მათ შორის:

- *ცრემლსადენი გაზის ბალონი (ცრემლსადენი გაზის სახეობა/წიწაკის სპრეი, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალურად და მის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას თავად სამართალდამცავი იღებს);*

²⁸ police.ge, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 19.11.2014,

იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16462>

²⁹ radiotavisupleba.ge, 29.11.2014, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33220080.html>

³⁰ democracyresearch.org, 30.11.2014, იხ. <https://www.democracyresearch.org/geo/1564/>

³¹ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. მუხლი 3, ი ქვეპუნქტი.

- სპეციალური ხელკეტის გამოყენების გადაწყვეტილებას მომსახურე იღებს ინდივიდუალურად;
- არალეტალური იარაღის, მათ შორის, არალეტალური ჭურვის გამოყენების ბრძანებას გასცემს ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი, ადგილზე მყოფ პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით;
- წყალსატყორცის გამოყენებისათვის ნებართვას/ბრძანებას გასცემს სპეციალურ ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი პირის თანხმობით;
- ცრემლსადენი გაზის (ცრემლსადენი გაზის სახეობა, რომელიც გამოიყენება ხალხის მასების მიმართ), წიწკის გაზის ჭურვებისა და ხელყუმბარების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს პასუხისმგებელი პირი.

სპეციალური საშუალებების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს.³²

როგორც წესი, შეკრების/მანიფესტაციის დროს, როდესაც არსებობს სპეციალური ღონისძიებების ჩატარებისა და აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა, მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში აისახება სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების შესახებ ინფორმაცია, სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/პირების შესახებ, ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლები, სპეციალური ღონისძიების მიზანი და ამოცანა და სხვა.³³ **აღნიშნული გეგმა წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას, რაც ართულებს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას³⁴ და ამცირებს ანგარიშვალდებულების ხარისხს.** საზოგადოებისთვის უცნობია, ვინ იღებს გადაწყვეტილებას მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ სასტიკი ანგარიშსწორების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, უცნობია, გამოითხოვა თუ არა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან სამოქმედო გეგმა, ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე სამართალდამცავთა იდენტიფიცირებისა და პასუხისგების მიზნით.

მიუხედავად კანონიერი საფუძვლის არარსებობისა, სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ 28-29 ნოემბერს, 29-30 ნოემბერს, 30 ნოემბერს-1-ელ დეკემბერს ორჯერ, გამთენიისას და საღამოს საათებსა და 6-7 დეკემბერს გამოიყენეს. ყველა შემთხვევაში, შსს-მ აქციის მონაწილეებს საპოლიციო ღონისძიებები დაუპირისპირა - აქტიური სპეციალური საშუალებებისა და ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადა მრავალათასიანი აქციების დაშლას. თუმცა, დემონსტრანტები მეორე დღის გათენებამდე რჩებოდნენ ქუჩებში:

- **19 ნოემბერს**, გამთენიისას, საპოლიციო ძალებმა მშვიდობიანი დემონსტრანტების დაშლისას ჭავჭავაძის გამზირზე გამოიყენეს აბსოლუტურად არაპროპორციული ძალა მშვიდობიანი შეკრების დასაშლელად. გავრცელებული კადრებით ნათლად ჩანს, რომ საპოლიციო ძალების წარმომადგენლების რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა რაოდენობას და არც ერთ შემთხვევაში არ არსებობდა ფიზიკური ძალის

³² იქვე, მუხლი 8.

³³ იქვე, მუხლი 5.

³⁴ შენიშვნა: თუმცა, ეს არ გამორიცხავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებას, მიიღოს აღნიშნულ დოკუმენტზე წვდომა, სავარაუდო სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების მიზნით.

გამოყენების საჭიროება. გავრცელებული ინფორმაციით, შსს-მ აქციის 16 მშვიდობიანი მონაწილე ადმინისტრაციული წესით დააკავა. მათ აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები.³⁵

- **29 ნოემბერს** პოლიციის მიერ გამოყენებულ ძალადობას არაფერი ჰქონდა საერთო კანონიერ საპოლიციო ღონისძიებებთან. გამთენიისას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მშვიდობიანი აქცია უსაფუძვლოდ, არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაშალა. 29 ნოემბერს სულ მცირე, 22-მა ჟურნალისტმა მიიღო ფიზიკური დაზიანება თავისა და სახის არეში.
- თავდაპირველად სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები (წიწაკის სპრეი, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი) ჭიჭინაძის ქუჩაზე, პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის პერიოდული დაპირისპირებების შემდეგ, გაფრთხილების წესების დარღვევით³⁶ გამოიყენეს. დაახლოებით 02:30 საათზე სპეციალური დანიშნულების რაზმი და წყლის ჭავლის მანქანა თავისუფლების მოედნის ტერიტორიიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართულებით დაიძრა და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდას სპეციალური საშუალებების გამოყენებით შეეცადა.³⁷ შსს-ს განცხადებით, აქციის მიმდინარეობისას პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობისთვის 43 პირი დააკავეს.³⁸
- **29-30 ნოემბრის აქციაზე**, გვიან ღამით, საპოლიციო ძალებმა, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებული, მშვიდობიანი აქცია, დაახლოებით 00:00 საათზე იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით, კანონმდებლობის უხეში დარღვევით დაშალეს. მიუხედავად აქციის მონაწილეთა მხრიდან პიროტექნიკის გამოყენებისა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დემონსტრაციას არც ერთ ეტაპზე არ მიუღია ძალადობრივი ხასიათი, რაც მისი დაშლის კანონიერი საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქცია კრძალავს არალეიტალური იარაღის გამოყენებას ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ და ასევე, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში (თავში, კისერში, მუცელში, გენიტალიებში).³⁹ **გავრცელებული კადრებით დასტურდება, რომ საპოლიციო ძალებმა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მისამართით რეზინის ტყვიები უკანონოდ გამოიყენეს.**⁴⁰
- **30 ნოემბერი - 1-ელი დეკემბრის აქციაზე** დემონსტრანტთა მცირე ჯგუფი საპოლიციო ძალებს პლასტმასის ბოთლებსა და პიროტექნიკას ესროდა, რა დროსაც (დაახლოებით, 00:25 საათზე) გაფრთხილების წესების უხეში დარღვევით, საპოლიციო ძალებმა გამოიყენეს წყლის ჭავლი. მიუხედავად იმისა, რომ ჭიჭინაძის ქუჩასა და რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ათიათასობით მოქალაქე მშვიდობიანად გამოხატავდა პროტესტს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმა მათი მისამართით (მათ შორის, ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე) მოულოდნელად გამოიყენეს გაზის ჭურვები, რამაც არაერთი მშვიდობიანი მოქალაქის დაშავება გამოიწვია.⁴¹
- **1-ელ დეკემბერს** დაახლოებით, 21:00 საათიდან აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ სამართალდამცავები პერიოდულად იყენებდნენ წყლის ჭავლს. ამის პარალელურად, დემონსტრანტთა მცირე ჯგუფი საკანონმდებლო ორგანოსა და სპეციალური დანიშნულების რაზმის მისამართით პიროტექნიკას იყენებდა. საერთაშორისო სტანდარტებისა და შსს-ს სახელმძღვანელო

³⁵ radiotavisupleba.ge, 19.11.2014, იხ. <https://shorturl.at/BR3Eg>

³⁶ შენიშვნა: გაფრთხილების ხმოვანი სიგნალიდან, რამდენიმე წუთში სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეთა დაშლა და დაკავება დაიწყო.

³⁷ netgazeti.ge, 29.11.2024, იხ. <https://netgazeti.ge/news/753728/>

³⁸ შსს-ს ფეისბუქ გვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1AeR3JNSD2/>

³⁹ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქვევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. მუხლი 9 , გ)

⁴⁰ netgazeti.ge, 29.12.2024, იხ. <https://netgazeti.ge/life/754017/>

⁴¹ იხ. <https://www.facebook.com/share/p/1CboAKij8p/>

ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავები ვალდებული არიან არ დაშალონ მშვიდობიანი ხასიათის აქცია, მცირე ჯგუფის მხრიდან შესაძლო გადაცდომის ფაქტების გამო. მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აქტიური სპეციალური საშუალებების გარდა, საპოლიციო ძალები დემონსტრანტებს ქვებს, შუშის ბოთლებსა და კანონით აკრძალულ სხვადასხვა საგნებს ესროდნენ, რამაც აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანება გამოიწვია.

■ **6-7 დეკემბრის აქციაზე** სამართალდამცავებმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ათიათასობით მშვიდობიან მოქალაქეს კვლავ დაუპირისპირეს არაპროპორციული ძალა და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოიყენეს სპეციალური საშუალებები - გაზის კაფსულები, წყლის ჭავლი და წიწაკის სპრეი. დაახლოებით, 00:34 საათზე, გაფრთხილების გარეშე, თავისუფლების მოედნიდან დაიძრა საპოლიციო ძალების ნაწილი. 01:50 წუთზე, სამართალდამცავებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიწყეს მშვიდობიანი აქციის მასშტაბური დარბევა.⁴² არაპროპორციული ძალის გამოყენებას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შაბლონური განცხადება,⁴³ რომ თითქოსდა, აქციის მონაწილეების მხრიდან კანონმდებლობის არაერთი დარღვევა დაფიქსირდა - რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

დემონსტრანტების ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში გამართული მშვიდობიანი აქციის დამლის დროს წყლის ჭავლში გარეული იყო ცრემლსადენი გაზი. ეს ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2024 წელს 21 ოქტომბრის განცხადებით თავად დაადასტურა. Amnesty International-ის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით,⁴⁴ *კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ პროპორციულად, კანონიერად და მინიმალური ინტენსივობით. ამასთან, წყლის ჭავლი (განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურის დროს) და ცრემლსადენი გაზი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელია შეკრებაში მონაწილე ჯგუფის მართვა, ძალადობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე. იმავე სტანდარტების მიხედვით, მკაცრად რეკომენდებულია არ მოხდეს ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის ერთდროულად გამოყენება.*

საპოლიციო ძალების მიერ დიდი რაოდენობით უცნობი ქიმიური ნივთიერების შემცველი გაზის კაფსულების გამოყენება საგანგაშო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ სამართალდამცავებმა აქციაზე მიმავალ პირებს, უკანონოდ ჩხრეკის შედეგად, ჩამოართვეს აირწინალები, ნიღბები და სხვა დამცავი საშუალებები, რაც, არ წარმოადგენს ისეთ ნივთს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან/და სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.⁴⁵ მსს-ს თქმით, ეს იყო ზედაპირული დათვალიერება, რაც, რეალურად არ შეესაბამება სიმართლეს. პირის ზედაპირული შემოწმება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას.⁴⁶ ზედაპირული დათვალიერების დროსაც კი, აუცილებელია შესაბამისი ოქმის შედგენა.⁴⁷

⁴² პუბლიკა, იხ. <https://www.facebook.com/share/p/15pkmRsBaB/>

⁴³ მსს-ს ფეისბუკ გვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1AB8hgMawr/>

⁴⁴ [policehumanrightsresources.org](https://www.policehumanrightsresources.org), Use of Force Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 2015 იხ. <https://shorturl.at/DAGUz>

⁴⁵ პუბლიკა, იხ. <https://www.facebook.com/share/v/1BrzUcN9Tu/>

⁴⁶ „საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ“, მუხლი 22.1, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=36>

⁴⁷ იქვე. მუხლი 22.9

შს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთისა) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.⁴⁸

სპეციალური საშუალებების დაწყებიდან რამდენიმე წუთით ადრე, როგორც წესი, შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებდა და მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს შაბლონური ტექსტით მოუწოდებდა დაეტოვებინათ შეკრების ადგილი. განცხადების მიხედვით, აქციამ კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.⁴⁹

შს-ს მიერ განცხადების ონლაინ და მედია საშუალებებით გავრცელება ვერ ჩაითვლება კანონის შესაბამისად დადგენილ გაფრთხილებად, ვინაიდან გაფრთხილების მიზანია, ადრესატს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რათა ყველა შესაძლო კანონიერი გზით თავიდან აირიდოს დაძაბულობა. განცხადების ონლაინ გავრცელება კი, ამ მექანიზმს ფორმალურად აქცევს. შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, *გაფრთხილება არის სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიერ ტექნიკური საშუალების მეშვეობით შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა სიტყვიერი გაფრთხილება სპეციალური ღონისძიების შესაძლო ჩატარების შესახებ.*⁵⁰ განცხადების გავრცელება ამ მექანიზმს შაბლონურად აქცევს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში აქციის მონაწილეთა კანონმდებლობის შესაბამისად გაფრთხილება თითქმის ყველა შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო.

2.3 „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკა – უკანონო დაკავებები

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, *ყველას აქვს პირადი თავისუფლების უფლება. დაკავება ან დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად და არ უნდა ატარებდეს თვითნებურ ხასიათს.*⁵¹

საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების დროს, დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, ადმინისტრაციული წარმოება 1000-ზე მეტი პირის წინააღმდეგ დაიწყო.⁵² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ადვოკატების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ 486 პირს გაეწია სამართლებრივი მომსახურება.⁵³ ხოლო სისხლის სამართლის წესით 50-მდე

⁴⁸ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 7.1.

⁴⁹ მაგალითად, 30 ნოემბერს გავრცელებული განცხადების მიხედვით, „*აქციის წევრები ფიზიკურად უპირისპირდებიან და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ სამართალდამცველებს. ასევე, მათი მიმართულებით ისვრიან სხვადასხვა სახის საგნებს.*“ 30.11.2024, იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16474>

⁵⁰ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 3, თ) ქვეპუნქტი

⁵¹ amnesty.org, იხ. <https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/pol300012002en.pdf>

⁵² შენიშვნა: იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება, შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს, რადგან მონაცემები ასახავს მხოლოდ ქსელში შესულ რაოდენობას.

⁵³ იხ. <https://www.facebook.com/share/p/16GS3vgRM4/>

პირი დააკავეს. მაგალითისთვის, მხოლოდ ერთ დღეში (28-29 ნოემბრის აქცია) 43 ადამიანი დააკავეს, მაშინ, როცა ამ დღეს არ არსებობდა არც მშვიდობიანი პროტესტის დაშლის, მოქალაქეთა დაკავებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების საფუძველი.⁵⁴ ამ დღეს, სულ მცირე, 22 ჟურნალისტი ფიზიკურად დაზიანდა.⁵⁵

მასშტაბური დაკავებებით გამოირჩეოდა 11-12 იანვარს თბილისსა და ბათუმში გამართული საპროტესტო აქციები. ამ დღეს საპოლიციო ძალებმა 20-მდე აქციის მშვიდობიანი მონაწილე დააკავეს, რომელთა ნაწილი შემდეგ ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.⁵⁶ 12 იანვარს, გვიან ღამით ორჯერ - თავდაპირველად ადმინისტრაციული წესით (კედელზე სტიკერის გაკვრის გამო) - პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველით (ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს), ხოლო მოგვიანებით, სისხლის სამართლის წესით დააკავეს „ბათუმელების“ დამფუძნებელი და რედაქტორი შზია ამალაშვილი. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 353¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს და 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შზია ამალაშვილმა 38 დღე იშიმშილა. ის ამ დრომდე პატიმრობაში რჩება.

2 თებერვალს, თბილისში, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაზე „ქართულმა ოცნებამ“ კვლავ უკანონოდ შეზღუდა შეკრებისა და გამოხატვის უფლება და ადმინისტრაციული წესით 31 პირი დააკავა. მოგვიანებით, 8 პირს სისხლის სამართლის წესით კოდექსის 222-ე მუხლის საფუძველზე ბრალი წარედგინა⁵⁷ და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა. სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, დაკავებულ პირთაგან 11-ს ხილულად აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები, ძირითადად, სახის არეში.⁵⁸

ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძველად, ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებს უთითებენ, რაც წვრილმან ხელიგნობასა და სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. რიგ შემთხვევებში დაკავების საფუძველი კოდექსის 174¹ და 125-ე მუხლებიც იყო, რაც შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების წესის დარღვევასა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს.

28 ნოემბრის შემდეგ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლის დარღვევისთვის - ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტივისთვის ჯარიმა 500 ლარიდან 5000 ლარამდე გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში აქციის მონაწილეების მიერ ყოველდღიურად იკეტებოდა რუსთაველის გამზირი. საიას მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მსს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩაღწევა 600 პირს ედავება.⁵⁹

სისხლის სამართლის წესით დაკავებულებს ბრალად ედებათ: პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე, მათ შორის, ჯგუფურად თავდასხმა (სსკ-ის 353¹ (1;2) მუხლი), სხვისი

⁵⁴ radiotavisupleba.ge, 29.11.2024, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33220080.html>

⁵⁵ democracyresearch.org, 29.11.2024, იხ. <https://www.democracyresearch.org/geo/1563/>

⁵⁶ interpressnews.ge, 12.01.2025, იხ. <https://shorturl.at/8zyJU>

⁵⁷ netgazeti.ge, 05.02.2025, იხ. <https://netgazeti.ge/news/762490/>

⁵⁸ netgazeti.ge, 03.02.2025, იხ. <https://netgazeti.ge/news/762232/>

⁵⁹ შენიშვნა: იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება, შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს, რადგან მონაცემები ასახავს მხოლოდ ქსელში შესულ რაოდენობას.

ნივთის, მათ შორის, ჯგუფურად დაზიანება ან/და განადგურება (სსკ-ის 187-ე (1;2) მუხლი), ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა (სსკ-ის 225-ე (1;2) მუხლი), ადამიანის დევნა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით (სსკ-ის 156-ე მუხლი), ჯგუფურად ჩადენილი ძალადობა (სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილი).

საანგარიშო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ნათელია, რომ „ქართული ოცნება“ რეპრესიული პოლიტიკის გატარებით ცდილობს შეზღუდოს ქვეყანაში გამოსატვის თავისუფლება და განსხვავებული აზრი. აღნიშნულს ადასტურებს არა მხოლოდ დაკავებულთა რაოდენობა და მიკერძოებული სასამართლო პროცესები, არამედ დაკავების ფორმა და დაკავების შემდეგ გამოყენებული მეთოდები.

2.3.1 დაკავების დროს გამოყენებული ტაქტიკა და ფიზიკური ანგარიშსწორება

აქციის დაშლის დროს, სამართალდამცავები მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში იყენებდნენ სპეციალურ საშუალებებს. ხოლო, გამთენიისას, როდესაც დემონსტრანტთა რიცხვი მცირდებოდა, მათ ფიზიკური ძალის გამოყენებით აკავებდნენ.

საყურადღებო იყო უშუალოდ აქციის მიმდინარეობისას აქციის მონაწილეთა დასაკავებლად გამოყენებული ტაქტიკა - ერთ მშვიდობიან დემონსტრანტს, სავარაუდოდ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ნიღბიანი თანამშრომლებისგან შემდგარი ჯგუფი წრეში აქცევდა, სამართალდამცველების კორდონისკენ მიათრევდა ან უზღუდავდა ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობას. რამდენიმე შემთხვევაში, სამართალდამცავებმა ადგილზე გამოიყენეს ფიზიკური ძალა, თუმცა, უმეტესწილად, ფიზიკური ანგარიშსწორება, დამცირება და არაადამიანური მოპყრობა დაკავების შემდეგ ხდებოდა. დაკავების მსგავსი ტაქტიკა, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მშვიდობიანი აქციის დაშლის დღეებში, თუმცა, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს დემონსტრაციის მიღმაც - საკუთარ სადარბაზოსთან, ავტომობილებში და ქუჩაშიც აკავებდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავმა ფიზიკური ძალა მხოლოდ კანონიერი მიზნიდან გამომდინარე, თანაზომიერების პრინციპის სრული დაცვით, უკიდურესი აუცილებლობის დროს მინიმალური აუცილებლობით (პროპორციულობის პრინციპის დაცვით) უნდა გამოიყენოს.⁶⁰ დაუშვებელია ხელბორკილით ან შებორკვის სხვა საშუალებით დაკავებული პირის მიმართ ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დაკავებული პირი არ ემორჩილება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და საფრთხეს უქმნის თავის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის დამკვირვებლების შეფასებით, უშუალოდ აქციის მიმდინარეობის/დაკავების დროს არ ყოფილა ფიზიკური ძალის გამოყენების კანონიერი საფუძველი.

⁶⁰ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქვევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 4.4

სპეცრაზმელებმა დაკავებულებს ძვირადღირებული ტელეფონები, ყურსასმენები, დამტენები, ქურთუკები და ფეხსაცმელები წაართვეს, რის გამოც ბევრი მათგანი სამედიცინო დაწესებულებაში ფეხშიშველი მიიყვანეს.⁶¹

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის ადვოკატების ინფორმაციით, საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა უდიდესი უმრავლესობა სასტიკად ნაცემი იყო.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი აქვს. წამების აბსოლუტურ და ყოვლისმომცველ აკრძალვას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია.

საანგარიშო პერიოდში, სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალა წამებად შეფასდა. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, აქციებზე დაკავებული და დაზარალებული პირებისთვის მიყენებული დაზიანებების ლოკაცია, ხასიათი და ხარისხი სარწმუნო წარმოდგენას ქმნიდა იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციამ მოქალაქეების მიმართ ძალადობრივი მეთოდები დასჯის მიზნით გამოიყენა, რაც წამების შემადგენლობას ქმნის.⁶²

დაკავებულების განცხადებით, სამართალდამცავების მხრიდან ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც დაკავების პროცესში, ასევე, დაკავების შემდეგ. რამდენიმე დაკავებულის განცხადებით, მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში სცემეს. დაზარალებულებმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადვოკატებთან ისაუბრეს მათი მისამართით განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე: **მათი თქმით, პოლიციის მიკროავტობუსში დაკავებულებს სულ მცირე ექვსი სპეცრაზმელი უმოწყალოდ სცემდა. ძალადობის პროცესში სამართალდამცავები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ზემდგომი პირი ხელმძღვანელობდა. სწორედ ის გასცემდა მითითებებს, სად დაერტყათ დაკავებულებისთვის - ღვიძლის თუ კეფის არეში. დაკავებულების ინფორმაციით, ცემის პარალელურად, მათ აფურთხებდნენ, აგინებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.⁶³ ხანგრძლივი, უწყვეტი ცემის შემდეგ, პოლიციის მიკროავტობუსებში, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ, სისხლის გუბეები იდგა. პოლიციის მიკროავტობუსიდან გადმოყვანილ დაკავებულებს, სანამ საპატრულო პოლიციის მანქანამდე მიიყვანდნენ, სამართალდამცველების „კორიდორში“ ატარებდნენ, სადაც პოლიციელები სათითაოდ ურტყამდნენ ფეხებს სახისა და ზურგის არეში. ყველა შემთხვევაში, როდესაც საპროტესტო აქციაზე დაკავებულ პირებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ზემდგომის მითითებით, ხდებოდა კონტროლი, რომ არაადამიანურად მოპყრობის პროცესში ვინმე არ შემოჰკვდომოდათ. რამდენიმე დაზარალებულის ინფორმაციით, მათი ცემის პროცესს იღებდნენ (ერთ-ერთი, ვინც ცემის პროცესს იღებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილია).**

⁶¹ democracyresearch.org, 02.12.2024, იხ. <https://www.democracyresearch.org/geo/1567/>

⁶² ombudsman.ge, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 03.12.2024,

ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/241203081257sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba>

⁶³ radiotavisupleba.ge, 02.12.2024. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/7xcml>

2.4 ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევები

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექვევან ჟურნალისტები, რომლებიც ავლენენ ადამიანის უფლებების დარღვევის, კორუფციისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. საქმიანობიდან გამომდინარე, ისინი არ უნდა გახდნენ სისხლის სამართლებრივი დევნის მსხვერპლი და ამის გამო არ უნდა ექმნებოდეთ სხვადასხვა სახის ბარიერები. ხელისუფლების ვალია, გააცნობიეროს დამოუკიდებელი ჟურნალისტის მნიშვნელობა, შესაბამისი პირების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის დროს.⁶⁴

უთო/ოდირის სახელმძღვანელოს მიხედვით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს სათანადო გარანტიები, რომ ჟურნალისტმა პროფესიული საქმიანობა განახორციელოს თავისუფალ გარემოში, შესაძლო დასჯის შიშის გარეშე. თავის მხრივ, იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს, უნდა იქნას გამოძიებული სწრაფად, ეფექტურად, დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით.⁶⁵

საქართველოს კანონმდებლობა ჟურნალისტური საქმიანობის დაცვის გარანტიებს შეიცავს. სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება - გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.⁶⁶ გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლება.⁶⁷

საანგარიშო პერიოდში გამართული საპროტესტო აქციების დროს, ჟურნალისტებს არათუ ხელი შეემაღათ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ცხადი იყო, რომ ისინი პირდაპირ წარმოადგენდნენ სამართალდამცავთა სამიზნეს. **დეკემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ჟურნალისტებზე თავდასხმის, ფიზიკური ანგარიშსწორების, მათ წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენების 90-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.**⁶⁸

ანგარიშსწორების მსხვერპლი თითქმის ყველა კრიტიკული მედიის წარმომადგენელი გახდა. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი შეემაღა, მათ შორის, „ტვ პირველის“, „მთავარი არხის“, „პალიტრა ნიუსის“, „პუბლიკის“, „ფორმულას“, „სტუდია მონიტორის“, „ინტერპრესნიუსის“, „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტებს.

მაგალითად, 28-29 ნოემბერს, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის უკანონოდ, ძალის გამოყენებით დაშლის დროს დაშავდა ჟურნალისტი გურამ როგავა. მას სპეცრაზმის წარმომადგენელი პირდაპირ ეთერში სასტიკად გაუსწორდა (დამტვრეული ჰქონდა სახის ძვლები და კისრის მალა).⁶⁹

⁶⁴ osce.org, Guidelines on the Protection of Human Rights Defenders პარ, 54, გვ. 11

იხ. <https://www.osce.org/files/f/documents/c/1/119633.pdf>

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 154,

იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=264#>

⁶⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 2, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁶⁸ mediachecker.ge, 09.12.2024, იხ. <https://www.mediachecker.ge/ka/mthavari/article/99207-28-noembridan-mediis-sagmianobashi-khelshehshlis-80-ze-meti-incidenti-mokhda>

⁶⁹ radiotavisupleba.ge, 29.11.2024, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33219996.html>

გარდა სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ ჟურნალისტების საქმიანობაში ხელის შეშლისა, 7-8 დეკემბერს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, ტვ პირველის ჟურნალისტ მაკა ჩინლაძესა და ოპერატორ გიორგი შეწირულს არაფორმალური დაჯგუფების ნიღბიანი წარმომადგენლები პირდაპირ ეთერში დაესხნენ თავს. გიორგი შეწირულს დაზიანებები მიაღდა თავის არეში, ხოლო, მაკა ჩინლაძეს დაზიანებები სახის არეში აღენიშნებოდა. ორივეს ტვინის შერყევა ჰქონდა და მათი კლინიკაში გადაყვანის აუცილებლობა შეიქნა.⁷⁰

მედიის წარმომადგენლები აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების დროსაც დაშავდნენ. 28-29 ნოემბერს ჟურნალისტი ფილიპე წერეთელი გაზის კაფსულის სროლის შედეგად დაშავდა. მისი თქმით, ცრემლსადენი ხელყუმბარები მას მიზანმიმართულად ესროლეს. „ინტერპრესნიუსის“ ფოტოგრაფის ინფორმაციით, ამავე დღეს, მედიის წარმომადგენელთა მისამართით მიზანმიმართულად გამოიყენეს წყლის ქავლი და რეზინის ტყვიები, რამაც პირადად მას ფეხის არეში დაზიანება მიაყენა.⁷¹

გარდა უშუალოდ ჟურნალისტებზე განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორებისა, სამიზნე მათი აღჭურვილობაც იყო. რამდენიმე შემთხვევაში სამართალდამცავებმა ან/და არაფორმალურმა დაჯგუფებებმა დააზიანეს მედიის წარმომადგენელთა აპარატურა, რომლითაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მძიმე მოვლენები შექდებოდა. მაგალითად, 28-29 ნოემბერს, „პუბლიკის“ ჟურნალისტი ალექსანდრე ქეშელაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დააკავეს, სცემეს სახისა და თავის არეში, წაართვეს სამუშაო აპარატურა. დაზიანებების სიმძიმედან გამომდინარე, მას ოპერაციული ჩარევა დასჭირდა.⁷²

ორ შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლები ადმინისტრაციული წესით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით დააკავეს.⁷³

ამ თვალსაზრისით, არც 11-12 იანვრის პროტესტი იყო გამონაკლისი. ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოსთან „ბათუმელების“ ოპერატორი და ფოტოგრაფი გურამ მურვანიძე, რომელიც სწორედ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აქციის გაშუქების დროს ადმინისტრაციული წესით დააკავეს.⁷⁴ ამავე დღეს სისხლის სამართლის წესით დააკავეს „ბათუმელების“ დამფუძნებელი და რედაქტორი მზია ამაღლობელი. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 353¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს და 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ერთი მხრივ, დაცული უნდა იყოს ჟურნალისტური საქმიანობა და მეორე მხრივ, ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში, ფაქტის ეფექტიანი/მყისიერი გამოძიება უნდა მოხდეს, ერთ შემთხვევაში ორგანიზებულ ანგარიშსწორებაში თავად სამართალდამცავთა ჯგუფი მონაწილეობდა, ხოლო სხვა შემთხვევაში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ადგილზე შეესწრნენ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებს, თუმცა მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მომხდარა.⁷⁵

საჯაროდ გავრცელებული კადრები, ჟურნალისტებისთვის მიყენებული დაზიანებების ლოკაცია (სახისა და თავის არე) და სიმძიმე ნათელს ხდის, რომ მათ მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული სისასტიკე, მიზანმიმართულ ქმედებას წარმოადგენდა.

⁷⁰ tvpirveli.ge, 07.12.2024, იხ. <https://shorturl.at/usyHL>

⁷¹ პირადი ფეისბუკ გვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1AnXNKjpbg/>

⁷² პუბლიკა, იხ. <https://www.facebook.com/share/v/14ShUauoEN/>

⁷³ მედიაჩეკერი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1GSNfAcM6G/>

⁷⁴ batumelebi.netgazeti.ge, 12.01.2025, იხ. <https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/558306/>

⁷⁵ რადიო თავისუფლება, 7-8 დეკემბერს ტვ პირველის ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმის ფაქტს საპატრულო პოლიცია შეესწრო, თუმცა მათ რეაგირება არ მოუხდენიათ. იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33230604.html>

3. სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ყველას აქვს პირადი თავისუფლების უფლება. დაკავება დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად. დაუშვებელია პირის თვითნებური დაკავება.⁷⁶

თვითნებური დაკავების ნიშნების არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უმეტეს შემთხვევებში, დაკავების ოქმში, დაკავების დრო არ იყო სწორად მითითებული. ყველა შემთხვევაში ფაქტობრივი დამკავებელი პირის ვინაობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში დამკავებლად გაფორმებული სამართალდამცავის ვინაობას არ ემთხვეოდა, შესაბამისად, სასამართლოში მოწმედ გამოძახებული სამართალდამცავის ნახევარზე მეტი სასამართლოს ცრუ ჩვენებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ მოწმე სამართალდამცავის მხრიდან, სავარაუდო, ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი სიახლე არ არის, არც ერთ შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ ყოფილა რეაგირება.⁷⁷ ამასთან, საქმეების განხილვის დროს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, არც ერთ პროცესზე არ წარმოუდგენიათ სამხრე კამერების ჩანაწერები.

საანგარიშო პერიოდში თითქმის ყველა დაკავებულის მიმართ (გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც დაკავებულები ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს) გამოყენებული იყო გახანგრძლივებული ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა. მიუხედავად ადვოკატების შუამდგომლობისა, სასამართლოს შეეფასებინა ერთი მხრივ დაკავების კანონიერება და მეორე მხრივ, პატიმრობის ვადის 48 საათით გახანგრძლივება, მოსამართლეები შუამდგომლობებს საერთოდ არ განიხილავდნენ.

Amnesty International-ის მიერ დადგენილი სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების მიხედვით: აუცილებელია ყველა „სინდისის პატიმარი“ დაუყოვნებლივ გაათავისუფლდეს, რადგან ისინი არიან ადამიანები, რომლებიც დაკავებულები არიან პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა კეთილსინდისიერი რწმენის ან მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო.⁷⁸

სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომელიც ვალდებულია შეაფასოს ობიექტურ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით: მოხდა თუ არა დაკავება უფლებამოსილი პირის მიერ, რა გარემოებაში დააკავეს პირი, ჰქონდა თუ არა ადვოკატის ყოლის უფლება, ხელოვნურად ხომ არ გახანგრძლივდა მისი პატიმრობის ვადა, არსებობდა თუ არა დაკავების კანონიერი საფუძველი⁷⁹ და სხვა.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არც ერთ შემთხვევაში, აქციებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე მოსამართლეს არ მიუღია დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რომელიც დაეყრდნობოდა მტკიცებულებების სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. მიუხედავად სათანადო მტკიცებულებების არარსებობისა, მოსამართლეებმა თითქმის ყველა შემთხვევაში დაკავებულები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად ცნეს და სახდელის სახით მაქსიმალური ოდენობით ჯარიმა ან პატიმრობა შეუფარდეს. გარკვეულ შემთხვევებში, მოსამართლემ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა.

⁷⁶ amnesty.org, იხ. <https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/pol300012002en.pdf>

⁷⁷ democracyresearch.org, საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ, 15.07.2024, იხ. <https://www.democracyresearch.org/geo/1504/>

⁷⁸ amnesty.org, იხ. <https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/pol300012002en.pdf>

⁷⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

სამართლიანი სასამართლოს არარსებობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ მოსამართლე დაცვის მხარეს მტკიცებულებების მოსაპოვებლად არაგონივრულად მცირე დროს აძლევდა, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი თავის დაცვის ქვეშ მყოფს სასამართლოში პირველად ხვდებოდა.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ყველას, ვინც პატიმრობაში იმყოფება ან ემუქრება შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უნდა მიეცეს ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის საკმარისი დრო და საშუალებები. ამასთან, ადვოკატთან წვდომა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.⁸⁰

საანგარიშო პერიოდში ადვოკატებისთვის განსაკუთრებით გართულებული იყო ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებთან შეხვედრა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნამ გამოიწვია. დაკავებულების ოჯახისა და ადვოკატებისთვის დაკავებიდან საათების განმავლობაში უცნობი იყო დაკავებული პირის ადგილსამყოფელი. ადვოკატთა ნაწილის განცხადებით, დაცვის მხარეს შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს დაკავებული პირის იზოლაციაში შესახებამდე არ ასწრებენ.

ამასთან, საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესების დამით ჩატარება ჩვეულ ნორმად იქცა, რამაც მნიშვნელოვნად დააბრკოლა დაცვის უფლების განხორციელება. ხშირ შემთხვევაში, ადვოკატებს არ ჰქონდათ ინფორმაცია სასამართლო პროცესის დაწყების დროსთან დაკავშირებით.

არც ერთ შემთხვევაში, როდესაც აქციაზე დაკავებულ და მოსამართლის წინაშე წარდგენილ პირს ვიზუალურად ემჩნეოდა არაადამიანური მოპყრობის კვალი, მიუხედავად ადვოკატების შუამდგომლობისა, მოსამართლე დაზიანებების გამომწვევი მიზეზებით არ დაინტერესებულა. მისი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ დაზიანებების წარმოშობის შესწავლა სცილდებოდა საქმის ფარგლებს.

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის წესით დაკავებულ თითქმის ყველა პირს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე ადვოკატის უმკაცრესი ზომა - პატიმრობა შეეფარდა. მოგვიანებით კი ორ მათგანს, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, პატიმრობა გირაოთი შეეცვალა.⁸¹ ადვოკატის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა ასევე 8 პირს, რომელთაც 2 თებერვალს სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობას ედავებიან.⁸² დაკავებულთა ადვოკატების თქმით, პროკურორის შუამდგომლობა შაბლონური და უსაფუძვლო იყო. მათივე ინფორმაციით, მოსამართლემ არ გამოიკვლია იმ საფუძვლების არსებობა, რაც აუცილებელია პატიმრობის შესაფარდებლად.⁸³

⁸⁰ amnesty.org, იხ. <https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/pol300012002en.pdf>

⁸¹ gyla.ge, აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეები, 09.01.2025, იხ. <https://gyla.ge/post/aqciebis-konteqtshi-siskhlis-samartlis-wesit-dakavebulebi>

⁸² netgazeti.ge, 05.02.2025, იხ. <https://netgazeti.ge/news/762490/>

⁸³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>